სსიპ ,,საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“
გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 აგვისტოს N62
განკარგულებით შექმნილი საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 20 სექტემბერი 2013 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

პრომეთე შევარდნაძე–გენერალური დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

**კომისიის წევრები:**

ნინო მიქანაძე-მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

დავით ტყემალაძე–ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

გიორგი ჩიტაძე- სტანდარტების დეპარტამენტის დირექტორი.

ავთანდილ ჭიჭინაძე- სტანდარტიზაციის სამსახურის უფროსი.

ავთანდილ მაღლაკელიძე-საერთაშორისო ურთიერთობების, პროტოკოლისა და მარკეტინგის განყოფილების სპეციალისტი.

სიმონ სუხიშვილი - რადიაციული მეტროლოგიის განყოფილების უფროსი.

*სხდომას ესწრებოდა მოწვეული ექსპერტი. შპს ,,ელემსის“ წარმომადგენელი - ირაკლი შონია.*

**დღის წესრიგი:** სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა“ და შპს ,,ელემსს“ შორის გაფორმებული 2013 წლის 11 ივნისის გ/01-13 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შპს ,,ელემსის“ მიერ წარმოდგენილი, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV71200000) განსახორციელებელი საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/დამტკიცება.

**განიხილეს:** სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოში ევროკავშირის (CIB) წარმომადგენლობას შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით, გათვალისწინებული პროექტის ENPI/2012/301-051 ფარგლებში, 2013წ. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით, პოზიციაზე CPV 71200000 განსაზღვრულია 111 000 (ასთერთმეტი ათასი) ლარი. შპს ,,ელემსის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით ზემოაღნიშნული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად ასევე განისაზღვრა 111 000 (ასთერთმეტი ათასი) ლარი.

კომისიამ განიხილა შპს ,,ელემსის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განცხადების პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს არსებული სახით საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადება და კონკურსის დასრულების ვადად განისაზღვროს 2013 წლის 3 ოქტომბერი. ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წ. 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გაეგზავნოს საკონკურსო განცხადება თანდართული დოკუმენტაცით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე – contest@procurement.gov.ge გამოქვეყნების მიზნით.

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:</u>

პრომეთე შევარდნაძე

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

- ნინო მიქანაძე
- დავით ტყემალაძე
- გიორგი ჩიტაძე
- ავთანდილ ჭიჭინაძე
- ავთანდილ მაღლაკელიძე
- სიმონ სუხიშვილი